

ბახსენება – MEMORY

ნინო მინდაძე

ჯულიეტა რუხაძე – 100

ჯულიეტა რუხაძე დაიბადა 1921 წლის 9 ივლისს. დაამთავრა თბილისის მე-9 შრომის სკოლა, 1942 წელს უნივერსიტეტი. 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1983 წელს – სადოქტორო.

ეს არის მშრალი მონაცემები, რომლებიც თვალსაჩინო ქართველი ეთნოლოგის ჯულიეტა რუხაძის ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღებს გვაცნობენ.

ახლა კი, ცოტა უფრო დეტალურად განვიხილოთ ჯულიეტა რუხაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. ჯულიეტა დაიბადა ქალაქ ფოთში მედიცინის მუშაკის ოჯახში, დედა ნატალია მეგრელიშვილი და მამა აკაკი რუხაძე ფოთის გამორჩეული მოქალაქეები, სულით და ხორციტ ინტელიგენტები იყვნენ. სიყვარული სამედიცინო საქმიანობისადმი ჯულიეტას ბავშვობიდანვე დაჰყვა, მაგრამ მაინც ჰუმანიტარულმა მიდრეკილებამ დასძლია და სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მან უნივერსიტეტში ჩააბარა. უნივერსიტეტში კი თავიდანვე ეთნოგრაფიამ გაიტაცა. ეს ინტერესი მას გიორგი ჩიტაიამ პირველ კურსზევე გაუღვიძა – „რა საუცხოოდ გადახსნა ბატონმა გიორგიმ ჩვენს თვალწინ აქამდე ჩვენთვის უცნობი კარი ხალხის ყოფისა, როგორი სიფაქიზით შეგვიძღვა იმ სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობდით და მისი არაფერი გვესმოდა“.¹ დანერს ჯულიეტა წლების შემდეგ.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ჯულიეტა რუხაძე, მეუღლესთან – ავთანდილ ბენდუქიძესთან ერთად, რომელიც მისი თანაკლასელი იყო, მიდის ასპინძის რაიონში სოფელ ერკოტაში. ავთანდილი აქ სკოლის დირექტორად არის დანიშნული. ჯულიეტა ასწავლის ისტორიას, გერმანულს და ქიმიასაც კი, რომლისთვისაც განსაკუთრებით ემზადება. პედაგოგიური მოღვაწეობა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს საკმაოდ მძიმე პირობებში უხდება – „რა სადილი, რის სადილი, ხან გვაქვს და ხან არა, ხშირად მხოლოდ პურსა და ვაშლს ვჭამთ“.² ასეთ პირობებშიც კი ჯულიეტას არ განუღებია ეთნოგრაფიის ინტერესი, რო-

¹ რუხაძე, შტრიხები, გვ. 18.

² ცოცხალი ისტორიები, სამცხე-ჯავახეთი გვ. 18.

მელიც მეუღლესაც გადასდო: „მე ძალიან მინდა დარბაზულ ოთახში შესვლა [...] ბევრი რამ მსმენია ლექციაზე ასეთ სახლზე და ახლა სულმოუთმენლად ველოდები იქ შესვლას. მე და ავთანდილი შევედით, ვხედავ მოგვირგვინებულ დარბაზს და ოთხივე კუთხეში ჩადგმულ სვეტებს“.¹ შემდეგ კი მოდის დარბაზული სახლის დეტალური აღწერილობა და აქ უკვე იგრძნობა, რომ ჯულიეტა მონოდებით ეთნოგრაფია, იგი უკვე ფლობს მთხრობელთან მუშაობის ხელოვნებას.

1945 წელს ჯულიეტა, მეუღლესთან ერთად, თბილისში ბრუნდება, მუშაობას იწყებს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ისტიტუტში. ამ დროს მას უკვე ჰყავს ქალიშვილი. ინსტიტუტში მისი მუშაობა მოიცავს სამეცნიერო კარიერის ყველა ეტაპს – უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან განყოფილების ხელმძღვანელამდე. იმთავითვე იგი ხალხური დღესასწაულებით დაინტერესდა და ქართლის ცნობილ ექსპედიციაში (1947-1949 წწ.) სწორედ ამ საკითხზე აგროვებს ეთნოგრაფიულ მასალას. ეს საკითხი, უფრო სწორად, ერთ-ერთი ხალხური დღესასწაული, ბერიკაობა-ყეენობა, ჯულიეტას პირველი დისერტაციის თემა ხდება, რომელიც მან 1955 წელს დაიცვა. შემდეგ, 1966 წელს ნაშრომი, იუნესკოს ეგიდით, გამოიცა სამეცნიერო-პოპულარული წიგნის სახით, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, სახელწოდებით – „ქართული ხალხური დღესასწაული“, შესანიშნავად დასურათბატებული ზურაბ ფორჩხიძის მიერ. ყდა კი ასევე შესანიშნავად გააფორმა გოგი ოჩიაურმა. წიგნი წარდგენილ იქნა ჩილეში წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე და მას პირველი პრემია მიენიჭა. ხოლო, სამეცნიერო მონოგრაფიის სახით, იგი მხოლოდ 1999 წელს გამოიცა, 2001 წელს კი დაჯილდოვდა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას პრემიით. თავს უფლებას არ მივცემ შევაფასო ეს ნაშრომი, რადგან ახალს ვერაფერს ვიტყვი. მოვიყვან მხოლოდ ქართული სულიერი კულტურის შესანიშნავი მკვლევრის ირაკლი სურგულაძის სიტყვებს: „ამ წიგნისთვის განეულია უზარმაზარი შრომა. შესრულებულია უდიდესი სავლე და კაბინეტური სამუშაო, რომელიც 1946 წელს დაიწყო და დღესაც გრძელდება. ამიტომ შეძლო ქალბატონმა ჯულიეტამ ამ ჭეშმარიტად ამოუწურავი პრობლემის კონკრეტულ ისტორიულ და სოციალურ ჩარჩოებში მოქცევა და მისი კულტურულ-ისტორიული შეფასება. სწორედ ასეთი მიდგომა გახდა სანინდარი იმისა, რომ საზოგადოებამ მშვენიერი ნაშრომი მიიღო“,² რომელიც „სრულიად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერების ამ უბანზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვად. მასში თავმოყრილია ყველაფერი, რაც ამ მხრივ გაკეთებულა მეცნიერების ამ უბანში, მკვეთრად არის წარმოჩენილი ავტორის პირადი

¹ ცოცხალი ისტორიები, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 12.

² ჯულიეტა რუხაძე 85, სურგულაძე, გვ. 14.

მიღწევები და ამასთანავე, ყოველივე ეს წარმოადგენს მშვენიერ სტიმულსა და პირობას [...] ახალი კვლევების გაშლისთვის“.¹ თავად ჯულიეტა კი წერს: „სწორედ ახლა ნახევარ საუკუნეს და უფრო მეტს გადაცილებულმა, შევძელი ახლებურად დამენახა ბევრი რამ, რაც მანამდე მითქვამს და არც მითქვამს ან ვერ ვთქვი. ამჟამად ეს არის კომპენსაცია იმისა, რაც ახალგაზრდობის წლებში უთქმელი დარჩა [...]. რჩება კიდევ ზოგიერთი საკითხი, რომელიც ხელახლა შესასწავლი და გასააზრებელია, ხოლო დროთა ვითარებაში ზოგი რამ, ალბათ, ახლებურადაც განიხილება. ეს არის მეცნიერული პროგრესი“.² ეს სიტყვები ქ-ნ ჯულიეტას ერთ-ერთი საუკეთესო თვისების მოკრძალებულობისა და თავმდაბლობის უტყუარი მოწმობაა.

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, გიორგი ჩიტაიას წინადადებით, ჯულიეტა ხალხურ სამინათმოქმედო კულტურაზე იწყებს მუშაობას. მისი კვლევის არეალი დასავლეთ საქართველოა. კვლევის შედეგები ქვეყნდება 1976 წელს მონოგრაფიაში – „ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში“, შემდეგ კი ამ მონოგრაფიის საფუძველზე მიენიჭა ჯულიეტა რუხაძეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ნაშრომი კომპლექსური კვლევის საუკეთესო მაგალითია. აქ უმდიდრესი ეთნოგრაფიული მასალის, არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემების საფუძველზე ამომწურავად განხილულია მინათმოქმედებასთან დაკავშირებული მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური თუ ეკონომიკური საკითხები, თითქოს უმნიშვნელო დეტალებიც კი.

ჯულიეტა გვერდს არასდროს უვლიდა თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს. რომ არაფერი ვთქვათ პროექტში – სოფელი აკურა, მონაწილეობაზე, რომელიც კახეთის სოფელ აკურას ე. წ. ახალი ყოფის შესწავლას გულისხმობდა,³ ამის ნათელი დადასტურებაა მისი ნაშრომი – „ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა“ [თბ., 1980], სადაც იგი ხალხური დღესასწაულების და მათი ელემენტების გამოყენების პერსპექტივაზე საუბრობს და აღნიშნავს: „ცნობილია, რომ ახალი კულტურა მხოლოდ ძველის გამოყენების შედეგად იქმნება, ამიტომ არც ძველის აბსოლუტირებაა მართებული და არც მათი უარყოფა. მზრუნველობა კულტურული მემკვიდრეობისადმი დღეისათვის მნიშვნელოვანი და მთავარი ამოცანაა.“⁴ კარგი იქნებოდა, რომ დღეს ჩვენი ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები ამ სიტყვებს ითვალისწინებდნენ.

¹ ჯულიეტა რუხაძე 85, *სურგულაძე*, გვ.16.

² ჯულიეტა რუხაძე 85, *რუხაძე*, გვ.11.

³ რუხაძე, *ლეკიაშვილი*, *ჭყონია*, *სოფელი აკურა*.

⁴ რუხაძე, *ხალხური დღესასწაულები*, გვ.38.

ჯულიეტას სამეცნიერო კვლევებსა და ნაშრომებზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება და ითქმება კიდევ, მაგრამ ერთი სტატია ყველაფერს ვერ მოიცავს, მხოლოდ ყურადღების გარეშე არ შეიძლება დარჩეს მისი „ეთნოგრაფიული გულანი“ [თბ. 2003], რომელშიც, როგორც თავად წერს, თავმოყრილია: „სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა დროს დაწერილი სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის წერილები, რომელთა მნიშვნელობა მარტო ეთნოგრაფიით არ შემოიფარგლება. მათ ალბათ დიალექტიკური ლექსიკის შესწავლისთვისაც აქვთ მნიშვნელობა. ვფიქრობ ეს წიგნი მომავალში სამსახურს გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს“.¹ წიგნის სამეცნიერო ნაწილში, ორიგინალური დასათაურებით – „კრებულში მიმოფანტული რომ არ ეძებოთ“, წაიკითხავთ სხვადასხვა დროს სხვადასხვა გამოცემაში გამოქვეყნებულ ჯულიეტას სტატიებს. წიგნის მესამე ნაწილში კი, სახელწოდებით – „წავიკითხე თქვენი ნაშრომი“, ჯულიეტას მიერ დაწერილი რეცენზიებია. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია წიგნის პირველი ნაწილი – „რაც მითქვამს“, რომელშიც გარდაცვლილი კოლეგების, ახლობლების, ეთნოგრაფების და იმ პირებისაც, რომელთაც რაიმე შეხება ჰქონიათ ეთნოგრაფიასთან, საოცარი სიტბოთი გამსჭვალული, მოსაგონარი სიტყვებია. ეს სიტყვები უთუოდ მათი ხსოვნის არდავიწყების საწინდარია.

ჯულიეტა რუხაძის მოღვაწეობაზე როდესაც ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ მისი სამეცნიერო-პოპულარული წიგნები. თუნდაც „ვანის დღიურის ფურცლები“ [თბ. 1982], რომელიც ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური კვლევის შედეგების პოპულარულად გადმოცემის შესანიშნავი მაგალითია; „ხანი იმერეთის ხევსურეთია“ [თბ., 1989], რომელშიც, დახვეწილი ქართულით, აღწერილია სოფელში შემორჩენილი უძველესი ტრადიციები – მესაქონლეობის იქნება ეს თუ მეფუტკრეობის, ნაძერწი სულგუნის დამზადების თუ ახალი წლის შეხვედრის, ასევე ლეგენდა-გადმოცემები. ამ წიგნის შესახებ ზურაბ კიკნაძე იტყვის: წიგნის „ყოველმა სიტყვამ, ყოველმა წინადადებამ, ცალკე აღებულმა თუ კონტექსტში მოქცეულმა შეიძლება იმაზე მეტი გვითხრას ვიდრე ავტორს შეეძლო ეგულისხმა“.² ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს წიგნი ბევრს აღუძრავს სურვილს შემდგომი კვლევისა. ამის დადასტურებაა ახალგაზრდა ეთნოლოგების ექსპედიცია, რომელიც 2021 წლის ზაფხულში მუშაობდა ხანში. მე ამ წიგნების შესახებ მეტს არაფერს მოგახსენებთ, მაგრამ თუ ეს წიგნები წაკითხული არა გაქვთ, გურამ დოჩანაშვილს დავესესხები და ვიტყვი: „ბედნიერი [...] ყოფილხართ [...] წინ ისეთი დიდი ბედნიერება გელით“.³

¹ რუხაძე, ეთნოგრაფიული გულანი, წინათქმა, გვ. 8.

² კიკნაძე, „ხანში ირემი მოვიდა“, გვ. 220.

³ დოჩანაშვილი, კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, გვ. 28.

რა არის ჯულიეტას სამეცნიერო მოაღვაწეობის მთავარი ხიბლი. პირველ რიგში, ეთნოგრაფიული მუშაობა, ეთნოგრაფიული მასალის მოძიება. ჯულიეტა იყო იდეალური საველე მუშაკი. აი რას წერს თინა ოჩიაური ეთნოგრაფიული მასალის მოძიებაზე: „ეს არის საკმაოდ რთული პროცესი; საქმე გაქვს ადამიანთან, ცოცხალ არსებასთან. ასეთიც შეგხვდება და ისეთიც, მოგატყუებს კიდეც, მართალსაც გეტყვით, შეიძლება საერთოდ მოგიშროთ თავიდან, ათასნაირი ადამიანი გხვდება, მთავარია, როგორმე გამონახო საერთო ენა, დაამყარო კონტაქტი და სწორედ აი ეს უნარი, ჭარბად ჰქონდა და აქვს ქ-ნ ჯულიეტას მინიჭებული ბუნებისაგან და იმ წვრთნისაგან, რომელიც მან ჩვენი მასწავლებლების ხელში გაიარა“.¹ მე პირადად ჯულიეტას გვერდზე მომინია მუშაობა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ერთხელ სწორედ თინა ოჩიაურთან ერთად, ეთნოგრაფიული ატლასისათვის მასალის შესაგროვებლად. ჯულიეტას მუშაობა მთხრობელთან ნამდვილი ხელოვნება იყო. ან როგორ იწყებდა გამოკითხვას, როგორ მიიყვანდა იგი მთხრობელს მისთვის საინტერესო საკითხებამდე. მხოლოდ მე კი არა, ჩემი შვილებიც, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები, სამცხე-ჯავახეთში მონუსხული უყურებდნენ და უსმენდნენ ჯულიეტას მთხრობელთან მუშაობის პროცესს. სწორედ ამ მივლინებაში ახლდა თან ჯულიეტას მისი უსაყვარლესი თამუნა, პირველი შვილიშვილი, რომლის საოცრად საინტერესო დღიური ამშვენებს „ცოცხალი ისტორიების“ ერთ-ერთ ტომს.²

სულ რომ არაფერი გაეკეთებინა ჯულიეტა რუხაძეს, მისი სახელის უკვდავსაყოფად „ცოცხალი ისტორიების“ თერთმეტტომეულიც იკმარებდა, რომლის გამოცემას უნდა ვუმაღლოდეთ, ჯულიეტას ქალიშვილს ნუნუ ბენდუქიძეს და მის კოლეგასა და მეგობარს თამილა ცაგარეიშვილს. ცოცხალი ისტორიების I ტომი, „ქართლი I: პურის კულტი ქართველთა რწმენა – წარმოდგენებში“ [თბ. 2010], დაჯილდოვდა გიორგი ჩიტაიას სახელობის პრემიით. ამ ტომეულში, რომელიც შესანიშნავად არის ილუსტრირებული მხატვარ კოტე სულაბერიძის მიერ, ასახულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც გიორგი ჩიტაიას საველე მეთოდის საფუძველზე არის შეკრებილი. ნაწილში გამოქვეყნებულია ასევე მასალის პირველადი ინტერპრეტაცია, ანგარიშის თუ წინასწარი შედეგების სახით და შემდეგ იწყება უკვე განზოგადება, რომლის შედეგად იქმნება ზემოხსენებული სამეცნიერო ნაშრომები. ეთნოლოგების ასეთი მუშაობის მეთოდი ცნობილია, სწორედ ამაზე ლაპარაკობს გ. ჩიტაია, როდესაც ეთნოგრაფიული და ეთნოლოგიური კვლევის განსხვავებულობაზე მსჯელობს. ჯულიეტა კი ამას თვალნათლივ წარმოაჩენს და ამით ახალგაზრდებს აზიარებს, საბჭოთა

¹ ჯულიეტა რუხაძე 85, ოჩიაური, გვ. 25.

² ცოცხალი ისტორიები, სამცხე-ჯავახეთი (გვასალია, „ჩემი ჯულა“), გვ. 241-307.

პერიოდში, ეთნოგრაფებად წოდებული, ქართველი ეთნოლოგების მუშაობის სტილს.

დღეს, აქტიური გლობალიზაციის ხანაში, როდესაც დავინწყებას ეძლევა ეროვნული ტრადიციები, „ცოცხალ ისტორიებს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და იგი უთუოდ დაიკავებს, და ვფიქრობ რომ უკვე დაიკავა, სათანადო ადგილი ეთნოლოგიური ლიტერატურის ოქროს ფონდში.

ჯულიეტას საქმიანობა მხოლოდ სამეცნიერო კვლევით არ ამოინურება. ალბათ, ვერ მოვახერხებ მისი საზოგადოებრივი საქმიანობის სრულყოფილ ანალიზს, ჩამოთვლასაც კი, ვიტყვი მხოლოდ, რომ ჯულიეტას უდიდესი დამსახურება აქვს ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების წინაშე. უდიდესია ჯულიეტას ღვაწლი ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით შეკრებილი შინამრეწველობის მასალების გამოცემაში, ეთნოგრაფიულ ატლასზე მუშაობის ორგანიზებასა და გამოცემაში, ალექსი ოჩიაურის, ნათელა ბალიაურის შესანიშნავი ეთნოგრაფიული მასალების წიგნად გამოცემაში, რომ არა ჯულიეტა, დღის სინათლეს ვერ იხილავდა ვ. ბარდაველიძის „ქართველი ხალხის სულიერი ყოფა და კულტურა, პროგრამა-კითხვარი“ [თბ., 1988], ფაფალა გარდაფხაძე-ქიქოძის „ქართული ხალხური დღესასწაულები (რაჭა-ლეჩხუმი)“ [თბ., 1995], ვერა ბარდაველიძის „ივრის ფშავლებში (დღიური)“ [თბ. 2003], „ეთნოგრაფია/ ეთნოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“ [თბ., 2004], რომელიც ყველა ეთნოლოგის და არა მხოლოდ, სამაგიდო წიგნია, მეტად საინტერესო კრებული – „ოჩხარი“ [თბ., 2002]; რომ არა ჯულიეტა, ჩვენი საზოგადოება ვერ გაეცნობოდა არაჩვეულებრივად საინტერესო მხატვრის, ნინო ბრაილაშვილის ეთნოგრაფიული ჩანახატების შესანიშნავ ალბომს: „ასეთი მახსოვს საქართველო“ [თბ. 1990], რომ არა ჯულიეტა ალბათ ასე მოწესრიგებული არ იქნებოდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივის ეთნოგრაფიული ნაწილი და კიდევ სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ჯულიეტა ისეთ ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც არასდროს ივინწყებენ ახლობლებსა და მეგობრებს, განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ ადამიანებს, რომლებმაც მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ასეთები კი, პირველ რიგში, ჯულიეტას მასწავლებლები ვერა ბარდაველიძე და გიორგი ჩიტაია იყვნენ. ეს პატივისცემა ასახულია წიგნებში: „ვერა ბარდაველიძე“ [თბ., 1988], რომლის თანაავტორი მისი მეგობარი თინა ოჩიაურია და „მტრისები აკად. გ. ჩიტაიას ცხოვრებიდან“ [თბ., 1993]. ნაცნობ-მეგობრებს კი, ეძღვნება მისი მოგონებების წიგნი.

როდესაც ჯულიეტა რუხაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე წერ, არ შეიძლება არ ახსენო მისი ოჯახის წევრები, მისი ახლობლებისა და მეგობრების ფართო წრე. ბატონი ავთანდილი, ჯულიეტას მეუღლე, რომელთანაც უთიერთობის პატივი მეც მერგო, უგანათლებულესი პიროვნება, ბიბლიოფილი, იუმორის გრძნობით აღსავსე, ჯულიეტას და, ქალბატონი ელენე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ერთგული თანამშრომელი, უაღრესად სათუთი და მოსიყვარულე ადამიანი. ჯულიეტას მშობლები, რომელთაც მე პირადად არ ვიცნობდი და, რომელთაც ასე ხშირად და სიყვარულით იგონებდა ჯულიეტა, და ბოლოს ჯულიეტას შესანიშნავი შვილები ნუნუ და კახა, ნამდვილი მოქალაქეები, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ჯულიეტას შვილიშვილები თამუნა და გიორგი, მისი შვილიშვილისშვილები და მათი შვილები. სამწუხაროდ წარსულ დროში უნდა მოვიხსენიო კახა – ჯულიეტას ვაჟი და თამუნა – ჯულიეტას შვილიშვილი, რომლის დაკარგვის სიმწარე ჯულიეტამ ხანდაზმულობაში იგემა, მაგრამ მას თავისი მწუხარებით არავინ შეუწუხებია. ჯულიეტა ლხინის, სიხარულის გაზიარებას სხვისთვის არ იშურებდა, საკუთარ მწუხარებას და უბედურებას კი მხოლოდ თავად უმკლავდებოდა. არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ეპიზოდი. ერთხელ ჩვეულებრივი საუბრის დროს ნუნუმ ჩაილაპარაკა, მე და კახას ჩვენი მშობლები ყოველ საღამოს გვეკითხებოდნენ აბა შენ დღეს ვის რა არ გეო. ილია ჭავჭავაძის ეს ოდნავ შეცვლილი სტრიქონი, ასახავს ჯულიეტას ოჯახის ზნეობრივ კოდექსს, სიკეთის ქმნასა და ქვეყნისთვის თუ ადამიანებისთვის სასარგებლო საქმიანობას. ჯულიეტას ოჯახი სხვისთვის არაფერს იშურებდა, არც თუ იშვიათად საკუთარი კეთილდღეობის ხარჯზე.

არ შეიძლება ჯულიეტაზე ილაპარაკო და არ გაიხსენო მისი უახლოესი მეგობრები: თინა ყაუხჩიშვილი, ნანა ხაზარაძე, ნანული აბესაძე, თალიკო თოფურია, ილია ჭყონია, ანდრო ლეკიაშვილი... და, რა თქმა უნდა, მისი კოლეგა და უახლოესი ადამიანი თინა ოჩიაური, რომლის კაფიები და ლექსები ჯულიეტას სათუთად აქვს შენახული. ერთ-ერთი ზუსტად ასახავს ჯულიეტას საქმიანობას:

„საქმისთვის თავის მობმა და ძნელ გასატანი ლელო
შენი სტიქია იყო და უნდა გააგრძელო,
რაც საქმე გიკეთებია მოყვასისათვის დაღლილს,
რკინის ქალამნით გივლია ქვეყნის მთასა და ბარში.
ცოცხლის და მკვდრების გაკითხვით გამორჩეულო სხვაში,
მტკიცე საყრდენად დარჩები ეთნოგრაფიის დარგში“.¹

მართლაც მტკიცე საყრდენი იყო და კვლავ დარჩება ჯულიეტა ეთნოგრაფიის ახლა კი ეთნოლოგიის დარგში. ამას მისი სამეცნიერო მოღვაწეო-

¹ ჯულიეტა რუხაძე 85, *ოჩიაური*, გვ. 98.

ბა, შესანიშნავი მონოგრაფიები, სამეცნიერო პოპულარული წიგნები, თუ არაერთხელ ნახსენები „ცოცხალი ისტორიები“ განაპირობებს. საყრდენად დარჩება ჯულიეტა თავისი უშურველი შრომისა და ზრუნვისათვის ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

და მაინც როგორი იყო ჯულიეტა, ამ კითხვის დასმისას არ შეიძლება გვერდი აუარო ჯულიეტას დიდი მასწავლებლის გიორგი ჩიტაიას სიტყვებს: „ჯულიეტა რუხაძემ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მნიშვნელოვანი გზა განვლო, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობის მერხიდან დაიწყო. მან ჩვენი ყურადღება უნივერსიტეტში სწავლის პირველი კურსიდანვე მიიპყრო – ნიჭიერებით, ენერგიულობითა და შრომისმოყვარეობით. მისი პირველი დამოუკიდებლად შესრულებული თემები იმთავითვე დადებითად შეფასდა, რადგან ამ ნაშრომებში უკვე იგრძნობოდა მეცნიერული ალლო, კეთილსინდისიერი და სერიოზული დამოკიდებულება სავსე მუშაობის მიმართ, რომელიც ბოლო დრომდე შემორჩა და სათანადო შედეგიც გამოიღო [...]. ინსტიტუტში ჯ. რუხაძე მოვიდა მაშინ, როდესაც ეთნოგრაფთა პირველი თაობა უკვე იმკიდა თავისი მუშაობის ნაყოფს. ეს იყო ძიების და დაუზოგავად მუშაობის, უმცირესი კოლექტივით, დიდ საქმეს შეჭიდების წლები“.¹ მასწავლებლის ამ შესანიშნავ დახასიათებაში ჯულიეტას სამეცნიერო პოტენციალზეა აქცენტი გაკეთებული. მაგრამ როგორი იყო მისი პიროვნული თვისებები. ჯულიეტა იყო საოცრად კეთილი, მეგობრების და საერთოდ ადამიანების მოყვარული, მზრუნველი, გვერდში ამომდგომი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. მონესრიგებული და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე. იმავდროულად ჯულიეტა იყო პრინციპული, პირში მთქმელი, ავკარგიანი, მართალი ადამიანი. მუდამ იცოდი, რომ იგი თავის სათქმელს, შენთვის უსიამოვნოსაც კი, პირში გეტყოდა, არ მოგერიდებოდა, მაგრამ ისიც იცოდი რომ მისი ნათქვამი შენ წინ არასდროს დაგხვდებოდა.

დაბოლოს რა იყო მისი მთავარი პიროვნული თვისება, ეგებ ის, რასაც ახლა მოგახსენებთ. ეგებ ის, რამაც „შეძრა“ ჯულიეტას და ჩემი საერთო მეგობარი, გამორჩეული პიროვნება და მეცნიერი, მიხეილ ქურდიანი, რომელიც სამწუხაროდ დღეს ჩვენ გვერდით აღარ არის. იგი წერს: ჯულიეტას „ბ-ნ გიორგისთან (გიორგი ჩიტაია, ნ. მ.) ერთად, დაუნერია ბატონ შალვა ინალიფასადმი მიძღვნილი წერილი, როცა მას 70 შეუსრულდა. [...] 2002 წლის 18 აგვისტოს გამდლისწყაროში მყოფმა ქ-მა ჯულიეტამ მისი და ბ-ნი გიორგის მიერ დაწერილ ამ წერილს გაუკეთა პატარა მინაწერი და ამ მინაწერში ის წერს, რომ ქართველებისა და აფხაზების ომში (მე ვიტყვოდი ქართველებისა და რუსეთის ომში აფხაზეთისათვის) მომკვდარა შესანიშნავი შვილი ბ-ნ შალ-

¹ რუხაძე 80, მეცნიერი, მოქალაქე, მამულიშვილი, გვ. 8-9.

ვასი. მიუსამძიმრა მას და თქვა, რომ არ შეიძლება ეთიკური პრინციპების დარღვევა და, რომ ადრე თუ გვიან, რწმენა მეგობრობისა და სიყვარული ჩვენ ისევ დაგვაძლევინებს გათიშულობას. როცა ეს ნავიკითხე თავზარი დამეცა, რადგან ამდენი წელია ვიცნობ ქ-ნ ჯულიეტას და არ ვიცოდი, რომ [...] ის მოყმის დედა ყოფილა, რადგან მას შეუძლია ნავიდეს და ვეფხვის დედას უთხრას სამძიმარი. ქ-ნ ჯულიეტა, მე ამან შემძრა [...], იმიტომ, რომ მე იქ ვომობდი [...] მაგრამ მე ყოველთვის ვფიქრობდი იმაზე, რომ აუცილებლად იქნებოდა თუნდაც ერთი, აი იმ ვეფხვებთან მეომარი მოყმის გამზრდელი დედა საქართველოში და ერთი ვეფხვის დედა აფხაზების მხარეს. და მე ბედნიერი ვარ [...], როცა ეს ნავიკითხე ისეთი ამაღლებული გრძნობა გამიჩნდა, როგორც ამ ბოლო დროს არ მქონია... ჩვენ, ქ-ნ ჯულიეტა, თქვენი მინანურიც გვეყოფა იმის საბუთად, რომ ვთქვათ: ჩვენ არ ვართ ის ხალხი, რომელსაც ვეფხისა და მოყმის ბრძოლაში ვეფხის დედა და მისი მოკლული შვილი დაგვაავინყდეს“.¹

ალბათ სწორედ ეს იყო ჯულიეტას მთავარი პიროვნული თვისება – სიყვარულის უნარი, სიყვარულის, რომელსაც მოყვასთან ერთად, მტერსაც უწილადებდა.

ჯულიეტა რუხაძე გარდაიცვალა 2012 წლის 25 ოქტომბერს.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

დოჩანაშვილი, კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა – დოჩანაშვილი გ., კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, „მოთხრობები“, ტ. III, თბილისი, 2003.

კიკნაძე, „ხანში ირემი მოვიდა“ – კიკნაძე ზ., „ხანში ირემი მოვიდა“, კრებ. „ოჩხარი, ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული ფილოლოგიური ძიებანი“, თბილისი, 2002.

რუხაძე, ლეკიაშვილი, ჭყონია, სოფელი აკურა – რუხაძე ჯ., ლეკიაშვილი ა., ჭყონია ი., სოფელი აკურა (ეთნოგრაფიული მიმოხილვა), თბილისი, 1964.

რუხაძე – 80, მეცნიერი, მოქალაქე, მამულიშვილი – რუხაძე – 80, მეცნიერი, მოქალაქე, მამულიშვილი, კრებ. „ოჩხარი, ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი“, თბილისი, 2002.

ცოცხალი ისტორიები, სამცხე-ჯავახეთი – ცოცხალი ისტორიები, ჯულიეტა რუხაძის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, 2017.

რუხაძე, ეთნოგრაფიული გულანი, წინათქმა – რუხაძე ჯ., ეთნოგრაფიული გულანი, თბილისი, 2003.

¹ ჯულიეტა რუხაძე – 85, ქურდიანი, გვ. 104.

რუხაძე, შტრიხები – რუხაძე ჯულიეტა, შტრიხები აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას პორტრეტისათვის, თბილისი, 1993.

რუხაძე, ხალხური დღესასწაულები – რუხაძე ჯ., ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა, თბილისი, 1980.

ჯულიეტა რუხაძე 85, ოჩიაური – ჯ., რუხაძე 85, ოჩიაური, [გამოსვლა წიგნის განხილვაზე], „ბუნების ძალთა აღორძინების დღესასწაული საქართველოში“, განხილვა-პრეზენტაცია, 1999 წლის 9 დეკემბერი, თბილისი, 2007.

ჯულიეტა რუხაძე 85, რუხაძე – ჯულიეტა რუხაძე 85, რუხაძე, [გამოსვლა წიგნის განხილვაზე], „ბუნების ძალთა აღორძინების დღესასწაული საქართველოში“, განხილვა-პრეზენტაცია, 1999 წლის 9 დეკემბერი, თბილისი, 2007.

ჯულიეტა რუხაძე 85, სურგულაძე – ჯულიეტა რუხაძე 85, სურგულაძე, [გამოსვლა წიგნის განხილვაზე], „ბუნების ძალთა აღორძინების დღესასწაული საქართველოში“, განხილვა-პრეზენტაცია, 1999 წლის 9 დეკემბერი, თბილისი, 2007.

ჯულიეტა რუხაძე 85, ქურდიანი – ჯულიეტა რუხაძე 85, ქურდიანი, [გამოსვლა წიგნის განხილვაზე], „ბუნების ძალთა აღორძინების დღესასწაული საქართველოში“, განხილვა-პრეზენტაცია, 1999 წლის 9 დეკემბერი, თბილისი, 2007.